თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 8

16.04.2018 წელი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ა. შათირიშვილი; ა. მახარიაშვილი; ზ. ლილუაშვილი; ტ. დარეჯანიშვილი; ნ. ხვისტანი;

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ორკოდაშვილი; სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - გ. თავზერიძე; მოქალაქე - ა. მჭედლიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

თანამომხსენებლი - გ. თავზერიძე

<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ. კერძოდ მუნიციპალიტეტის მერიის (პროგ.კოდი 01 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 15,0 ათ. ლარით შემცირების შესახებ. ცვლილებების

შედეგად განისაზღვრება მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების (პროგ.კოდ 03 04) საქონელი და მომსახურების მუხლი 15,0 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსებისათვის.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.შათირიშვილმა, დ. გოგოშვილმა აღნიშნეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველებისაგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის, საჭირო მოსახლეობის სათანადო ინფორმირება.

<u>გადაწყვიტეს:</u> მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ცვლილების პროექტი და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი